საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/143

13 სექტემბერი, 2019 წ. ქ. ბათუმი

2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბსუ-ს ბაკალავრიატის და ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების მიმღებ სტუდენტთა რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2019-2020 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებსა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის N297 დადგენილების, ,,2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 აგვისტოს №175/ნ ბრძანების და ,,2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბსუ-ს ბაკალავრიატის და ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების მიმღებ სტუდენტთა რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 აგვისტოს დადგენილების, ბსუ-ს სამინისტროსადმი კორესპონდენციის (NMES 11901111765, 30.08.2019 წ) და სამინისტროს თანხმობის (NMES 41901163770, 10.09.2019 წ) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 აგვისტოს N175/ნ ბრძანების საფუძველზე განისაზღვროს 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბსუ-ს ბაკალავრიატის და ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების (1,017,000 ლარის ფარგლებში) მიმღებ სტუდენტთა კვოტა (სულ 452 ადგილი), **ბსუ-ს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის:**

ა) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე - 85 ადგილი;

ბ) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე - 40 ადგილი;

გ) მშენებლობის საბაკალავრო პროგრამაზე - 50 ადგილი;

დ) აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე - 52 ადგილი;

ე) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე - 85 ადგილი;

ვ) ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე - 50 ადგილი;

ზ) ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე - 40 ადგილი;

თ) ქიმიის საბაკალავრო პროგრამაზე - 15 ადგილი;

ი) ფიზიკის საბაკალავრო პროგრამაზე - 10 ადგილი;

კ) მათემატიკის საბაკალავრო პროგრამაზე - 25 ადგილი.

2. ბსუ-ს ფაკულტეტების ადმინისტრაციამ (დეკანებმა, დეკანის მოადგილეებმა) უზრუნველყოს:

   ა) ,,2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 აგვისტოს N175/ნ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული სტუდენტებისათვის;

   ბ) დასაფინანსებელ სტუდენტთა სიის შედგენა და არაუგვიანეს **2019 წლის 10 ოქტომბრამდე** ბსუ-ს რექტორისათვის წარმოდგენა (შედგენილი სია უნდა შეთანხმდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურთან).

3. ბრძანება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**